საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 162

2016 წლის 9 სექტემბერი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N18 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 და მე-18 პუნქტები:

„17. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ამ განკარგულების დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხის მე-7 პუნქტის „გ", „დ", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდეს 10 დღის ვადაში. ამ განკარგულების დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხის მე-7 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცნობების მომზადება-გაცემისათვის საარქივო სამმართველოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურია 5 ლარი.

18. 17-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ინფორმაციის არასრულად მიწოდებისას, საარქივო

სამმართველო დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს უსასყიდლოდ.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე